ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 30-124

"24" დეკემბერი 2015 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20–104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე–16 მუხლის მე–2 პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე–2 პუნქტის, 68–ე მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20–104 დადგენილებით (სსმ, ვებ–გვერდი: www.matsne.gov.ge, 05/01/2015, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.35.101.016113) დამტკიცებულ წესდებაში (დებულებაში) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე–4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.".

ბ) მე–6 მუხლის მე–2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) სასამართლოსთან და ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის განყოფილება;".

გ) მე–7 მუხლის მე–9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

9. სასამართლოსთან და ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის განყოფილების უფლებამოსილებას მიეკუთვნება:

ა) სასამართლოსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში სამსახურის წარმომადგენლობის უზრუნველყოფა;

ბ) სამსახურის უფროსის დავალებების შესრულება;

გ) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, დაინტერესებული მხარეების, ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების, ადმინისტრაციული ორგანოებისთვის წერილობითი მიმართვა;

დ) კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურში შემოსული კორესპონდენციის განხილვა;

ე) განყოფილების ყოველკვირეული, ყოველთვიური, კვარტალური და წლიური სტატისტიკური მონაცემების წარმოება და მომზადება;

ვ) ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული უფლება–მოვალეობების განხორციელება.

დ) მე–11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"11. სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.".

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20–104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

ა)პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი/ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20–104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადება განაპირობა კანონმდებლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა.

2015 წლის 08 ივლისს, საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებების შედეგად, კოდექსის 79–ე მუხლის პირველ პუნქტით დადგინდა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა. ასევე, კოდექსის 79–ე მუხლის მე–11 პუნქტით დადგინდა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამავდროულად, საქართველოს მთავრობასა და მუნიციპალიტეტებს დაევალათ აღნიშნული ცვლილებების ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყონ სათანადო ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა და ამ კანონით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების მიღება.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდებაში (დებულებაში), მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შეიცვლება სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი, სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი, სასამართლოსთან ურთიერთობის განყოფილების

სახელწოდება და სასამართლოსთან და ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის განყოფილების ფუნქციებს დაემატება, განყოფილების მიერ, სამსახურის წარმომადგენლობის უზრუნველყოფა ადმინისტრაციულ ორგანოებში.

ბ)პროექტის ფინანსურ–ეკონომიკური დასაბუთება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას, არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე. პროექტით დადგენილი არ არის გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი და არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ)პროექტის ავტორ(ებ)ი და წარმდგენი:

გ.ა)პროექტის ავტორი:

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

გ.ბ)პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.